

შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი“

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი“ შინაარსი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანიის აღწერა	7
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	14
4. ძირითადი საშუალებები	14
5. მარაგები	14
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
7. ფულადი სახსრები და ექვივალენტები	15
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
9. ამონაგები	15
10. სხვა საოპერაციო ხარჯები	16
11. პირობითი ვალდებულებები	16
12. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16
13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31
დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ციფრები ცხრილებში
მოცემულია ლარში)

საბალანსო ანგარიშგება		2021	2020	2019
1	ფული და ფულის ექვივალენტები	14,014	36,551	28,378
2	მოთხოვნები მიწოდება/მომსახურებიდან	6,000	4,000	4,900
3	სასაქონლო მარაგი	105,517	88,154	57,894
4	სხვა მიმდინარე აქტივები	14,714	2,696	283
სულ მიმდინარე აქტივები		140,245	131,402	91,455
5	მიწის ნაკვეთები	9,267,088	9,267,088	9,267,088
6	შენობა-ნაგებობანი	2,085,065	2,221,671	2,465,809
7	სხვა ძირითადი საშუალებები	173,129	219,960	254,469
8	არამატერიალური აქტივები	4,894	5,085	5,275
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,530,176	11,713,805	11,992,641
სულ აქტივები		11,670,421	11,845,206	12,084,096
9	დავალიანებები მოწოდება/მომსახურებიდან	7,555	5,069	4,524
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,555	5,069	4,524
10	გრძელვადიანი სესხები	-		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			0	-
სულ ვალდებულებები		7,555	5,069	4,524
11	საწესდებო კაპიტალი	12,326,003	12,326,003	12,326,003
12	სხვა რეზერვები და დაფინანსება	1,349,904	914,904	635,226
13	მოგება/ზარალი	(2,013,041)	(1,400,770)	(881,657)
სულ საკუთარი კაპიტალი		11,662,866	11,840,137	12,079,572
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11,670,421	11,845,206	12,084,096

დირექტორი

თ. კიკვაძე

შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31
დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ციფრები ცხრილებში
მოცემულია ლარში)

საბალანსო ანგარიშგება		2021	2020	2019
1	ფული და ფულის ექვივალენტები	14,014	36,551	28,378
2	მოთხოვნები მიწოდება/მომსახურებიდან	6,000	4,000	4,900
3	სასაქონლო მარაგი	105,517	88,154	57,894
4	სხვა მიმდინარე აქტივები	14,714	2,696	283
სულ მიმდინარე აქტივები		140,245	131,402	91,455
5	მიწის ნაკვეთები	9,267,088	9,267,088	9,267,088
6	შენობა-ნაგებობანი	2,085,065	2,221,671	2,465,809
7	სხვა ძირითადი საშუალებები	173,129	219,960	254,469
8	არამატერიალური აქტივები	4,894	5,085	5,275
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,530,176	11,713,805	11,992,641
სულ აქტივები		11,670,421	11,845,206	12,084,096
9	დავალიანებები მოწოდება/მომსახურებიდან	7,555	5,069	4,524
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,555	5,069	4,524
10	გრძელვადიანი სესხები	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	0	-
სულ ვალდებულებები		7,555	5,069	4,524
11	საწესდებო კაპიტალი	12,326,003	12,326,003	12,326,003
12	სხვა რეზერვები და დაფინანსება	1,349,904	914,904	635,226
13	მოგება/ზარალი	(2,013,041)	(1,400,770)	(881,657)
სულ საკუთარი კაპიტალი		11,662,866	11,840,137	12,079,572
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11,670,421	11,845,206	12,084,096

დირექტორი



თ. კიკვაძე

შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31
დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ციფრები
ცხრილებში მოცემულია ლარში)

		2021	2020
სულ შემოსავალი		53,200	42,550
1	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	53,200	42,550
3	კომერციული, საერთო და ადმინ.-ლი ხარჯები	662,614	561,663
4	შრომის ანაზღაურება (ბრუტო)	253,208	200,262
5	იჯარა	3,650	3,500
6	კომუნალური ხარჯები	59,129	30,840
7	გადასახადები	15,996	15,738
8	ცვეთა/ამორტიზაცია	301,412	281,068
9	სხვა ხარჯები	29,219	30,256
10	საოპერაციო მოგება	(609,414)	(519,113)
11	არასაოპერაციო შემოსავლები		
12	სხვა არასაოპერაციო ხარჯები		
13	მოგება დაბეგვრამდე	(609,414)	(519,113)
14	მოგების გადასახადი (15%)		
15	მოგება/(ზარალი)	(609,414)	(519,113)

დირექტორი

თ. კიკვაძე

შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31
დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ციფრები
ცხრილებში მოცემულია ლარში)

		2021	2020
სულ შემოსავალი		53,200	42,550
1	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	53,200	42,550
3	კომერციული, საერთო და ადმინ.-ლი ხარჯები	662,614	561,663
4	შრომის ანაზღაურება (ბრუტო)	253,208	200,262
5	იჯარა	3,650	3,500
6	კომუნალური ხარჯები	59,129	30,840
7	გადასახადები	15,996	15,738
8	ცვეთა/ამორტიზაცია	301,412	281,068
9	სხვა ხარჯები	29,219	30,256
10	საოპერაციო მოგება	(609,414)	(519,113)
11	არასაოპერაციო შემოსავლები		
12	სხვა არასაოპერაციო ხარჯები		
13	მოგება დაბეგერამდე	(609,414)	(519,113)
14	მოგების გადასახადი (15%)		
15	მოგება/(ზარალი)	(609,414)	(519,113)

დირექტორი



თ. კიკვაძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31
დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2021	2020
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	11,840,137	12,079,572
საწესდებო კაპიტალის ცვლილება		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	(609,414)	(519,113)
სხვა რეზერვები (დაფინანსება)	435,000	279,678
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(2,857)	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	11,662,866	11,840,137

დირექტორი

თ. კიკვაძე

შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31
დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2021	2020
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	11,840,137	12,079,572
საწესდებო კაპიტალის ცვლილება		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	(609,414)	(519,113)
სხვა რეზერვები (დაფინანსება)	435,000	279,678
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(2,857)	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	11,662,866	11,840,137

დირექტორი



თ. კიკვაძე

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31
დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ციფრები
ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებიან მიღებული ფულადი სახსრები	51200	43673
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	-120647	-98191
შრომის ანაზღაურება	-197813	-153725
საბიუჯეტო გადახდები	-67215	-56606
სხვა საოპერაციო შემოსავალი	117	105
სხვა საოპერაციო ხარჯი	-5395	-4529
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-339753	-269274
ფულადი ნაკადების საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	-117784	-2231
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-117784	-2231
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავალი სუბსიდიებიდან - დაფინანსება	435000	279679
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	435000	279679
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	-22537	8173
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	36551	28378
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	14014	36551

დირექტორი

თ. კიკვაძე

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებიან მიღებული ფულადი სახსრები	51200	43673
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	-120647	-98191
შრომის ანაზღაურება	-197813	-153725
საბიუჯეტო გადახდები	-67215	-56606
სხვა საოპერაციო შემოსავალი	117	105
სხვა საოპერაციო ხარჯი	-5395	-4529
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-339753	-269274
ფულადი ნაკადების საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	-117784	-2231
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-117784	-2231
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავალი სუბსიდიებიდან - დაფინანსება	435000	279679
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	435000	279679
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	-22537	8173
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	36551	28378
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	14014	36551

დირექტორი



თ. კიკვაძე

1. კომპანიის აღწერა

შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი“ (შემდეგ – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია 2017 წლის 2 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 412729374

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ქუთაისი, აკ. ხორავას ქუჩა N 1.

კომპანიის მესაკუთრე და 100% წილის მფლობელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი თვითმმართველი ქალაქი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი ს/ნ 212721170.

კომპანიის დირექტორი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია თეიმურაზ კიკვაძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სპორტული საქმიანობები.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

პერიოდი				დოლარი	ევრო
კურსი	2021	წლის	31	3.0976	3.5040
დეკემბრისთვის					
კურსი	2020	წლის	31	3.2766	4.0233
დეკემბრისთვის					

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში. ფული და ფულის ექვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით.

თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე

მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯიჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდება „მიწოდების ხარჯებში“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის

შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ.

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს.

რეკლასიფიკაციები: განხორციელდა გარკვეული რეკლასიფიკაციები ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ხარჯების შესადარისობის დაცვის მიზნით.

4. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდგენიარად:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

	მიწის ნაკვეთი	შენობა ნაგებობები	ავჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა დანადგარები	ტრანსპორტი	სულ
გადაფასებული ან ისტორიული ღირებულება 01.01.2020	9267088	2703985	228684	112075	20358	12332190
დაგროვილი ცვეთა 01.01.2020		238177	85046	19403	2198	344824
დამატება			2231			2231
გასვლა						0
ცვეთა		244136	23186	10387	3168	280877
ღირებულება 31.12.2020	9267088	2221672	122683	82285	14992	11708720
დამატება		109374	7909	500		117783
გასვლა						0
ცვეთა		245982	38765	14065	2410	301222
ღირებულება 31.12.2021	9267088	2085064	91827	68720	12582	11525282

5. მარაგები

კომპანიის მარაგები შედგება:

დასახელება	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
ჰიგ საშუალებები	3227	2108	795
სამეურნეო და სხვა მარაგები	102290	86046	57099
სულ	105517	88154	57894

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის მოთხოვნები შედგება:

დასახელება	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნა	6,000	4,000	4,900

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შეადგენს:

დასახელება	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	14,014	36,551	28,378

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შეადგენს:

დასახელება	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	7,555	5,069	4,524

9. ამონაგები

კომპანიის ამონაგები შედგება:

	2021	2020
ამონაგები საიჯარო მომსახურებიდან	53,200	42,550
სულ	53200	42550

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

10. სხვა საოპერაციო ხარჯი

კომპანიის სხვა საოპერაციო ხარჯები შეადგენს:

		2021	2020
4	შრომის ანაზღაურება (ბრუტო)	253,208	200,262
5	იჯარა	3,650	3,500
6	კომუნალური ხარჯები	59,129	30,840
7	გადასახადები	15,996	15,738
8	ცვეთა/ამორტიზაცია	301,412	281,068
9	სხვა ხარჯები	29,219	30,256
10	სულ	662,614	561,663

11. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები და არც ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის არსებობს ასეთი. შესაბამისად არ არის მოლოდინი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნის და სასამართლო დავებთან დაკავშირებით არც ანარიცხია წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მისი საგადასახადო მიდგომა არის კანონმდებლობის შესაბამისი. შესაბამისად, პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

12. საანგარიშო პერიოდის და შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების თარიღიდან მისი დამტკიცების თარიღამდე კომპანიას ჯამურად შეძენილი აქვს ძირითადი საშუალებები 2 187 ლარის ღირებულებით

პანდემიის გავლენა

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი „COVID-19“ პანდემიად გამოაცხადა. COVID-19-ით ინფიცირების პირველი შემთხვევა საქართველოში დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

COVID-19-ის გავრცელების შესაჩერებლად საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი ზომები მიიღო. კომპანია ასრულებს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ოფიციალურ რეკომენდაციებს, რათა უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოება და თავისი საქმიანობის უწყვეტობა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, უარყოფითად მოქმედებს სხვა და სხვა საქმიანობებზე.

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს „რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის“ დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 31 მარტს.